№ 3 5 იანვარი, პარასკევი 1866—1879 5 იანვარი, პარასკევი № 3

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲪᲘᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲝᲖᲔ—1 ᲙᲐᲞ. ᲐᲮᲝ-ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ—3 ᲙᲐᲞ., ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲪᲐᲪᲔᲠᲝᲗᲘ—5 ᲙᲐᲞ., ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲘ—4 ᲙᲐᲞ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოწმოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ᲤᲣᲚᲘ გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ Ტელეგრაფის საᲐგენტოსი)

ᲢᲘᲠᲐᲟᲘ პირველი შინაგანი სესხისა. 2 იანვარს 1879 წელს, პეტერბურღში:

№№ სერიისას	№№ ბილეთისა	ᲯᲐᲛᲘ მოგებისა
8,926	27	200,000
2,778	9	75,000
10,057	46	40,000
306	5	25,000
176	18	
19,727	22	10,000
9,599	40	
3,120	18	
5,686	28	
2,648	39	8,000
5,752	50	
7,194	20	
6,406	12	
330	49	
3,384	10	5,000
18,666	21	
16,260	15	
4,364	46	
6,269	35	
2,752	14	
7,195	18	
1,822	24	
13,577	32	
7,759	14	
15,083	21	
10,393	47	
8,148	41	
4,803	13	1,000
5,137	45	
7,629	18	
19,160	44	
9,377	2	
1,850	41	
12,752	44	
14,122	9	
5,632	26	
15,702	20	
16,384	42	
10,971	6	
3,353	10	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, რომ პირველად შარშან მარიამობის-თვეში, როდესაც თფილისის გუბერნიის სასოფლო შკოლების მასწავლებელთა კრება იყო თფილისში, ამ დროს დამტკიცდა და მკვიდრ საფუძველზე დამყარდა ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ ჩვენს შკოლებში სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა მიდიოდესო.

ᲘᲛ კრებაზედ აღმოჩნდა, რომ მომეტებული ნაწილი მასწავლებლებისა ადრეც მუდამ სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ თავიანთ შკოლებში და კრების შემდეგ კი ეს კანონად შეიქნა.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ჩვენს გაზეთშიაც იყო აგრეთვე იმდროს გამოცხადებული ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ-ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲤᲠᲝᲡᲘᲡ სიტყვები, რომლითაც იმან მიმართა მასწავლებელთა და რომელშიაც გამოხატული იყო ის ჰაზრი, რომ თქვენ უნდა ასწავლოთ იმ წესით, რა წესსაც თქვენი მეცნიერება (ე. ი. პედაგოგია) მოითხოვსო და იმ ენაზედ, რომელიც თქვენი შაგირდებისათვის უფრო გასაგონი არისო.

მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ჩვენში დაფუძნებულია ორი ისეთი სასწავლებელი, ერთი თფილისში და ერთიც ბორში, რომელთაც განსაკუთრებული დანიშნულება ის არის, რომ სოფლის შკოლების მასწავლებელნი გამოზარდოს, მოამზადოს თავის მომავალ თანამდებობისათვის.

ᲓᲐ ᲐᲛ მასწავლებლებმა ხომ ქართულ შკოლაში, მაგალითად, ქართულად უნდა ასწავლონ შაგირდებს?

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ წარმოიდგინეთ, რომ ერთს ამ სამასწავლებლო ინსტიტუტთაგანში, სახელდობრ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ, სრულიად არ ასწავლიან ქართულ ენას! ᲐᲠ ასწავლიან იმ ენას, რომელზედაც ყმაწვილმა კაცმა, მომავალ მასწავლებელმა უნდა გადასცეს შემდეგში ყველა საგნების ცოდნა თავის შაგირდებს; იმ ენას, რომელზედაც, კანონით, სოფლის შკოლებში სწავლა უნდა იყოს ხოლმე!

ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ გამგებელი უფ. ზახაროვი, როგორც ისმის, ამბობს თურმე, რომ ქართველი ყმაწვილებისათვის ქართული ენის სწავლება რა საჭიროაო, იმათ თავიანთი სამშობლო ენა მაინც იციანო!

ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ნეტავი, ესთქვათ, საფრანგეთში რომ გამოჩნდეს იმისთანა ბრძენი, რომელმანც დაიწყოს ქადაგება, რომ ჩვენს სასწავლებლებში ფრანცუზული ენის სწავლა საჭირო არ არისო, რადგან ეს ენა ყველა შაგირდებმა უმისოთაც იციანო?

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ შეჰყავთ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ; არ ასწავლიან ქართულ ენას, არ აძლევენ ნებას, რომ ქართულად ილაპარაკოს, ამ ნაირს მდგომარეობაში რჩება ოთხი-ხუთი-ექვსი წელიწადი, და მერე გამოისტუმრებენ და ეუბნებიან: „წადი ამა-და-ამ სოფლის შკოლაში და ქართულად ასწავლე ყმაწვილებსაო!“

ᲠᲐᲓ გამიკვირდება, რომ ამისთანა მასწავლებელმა, არათუ ვერ გადასცეს სამშობლო ენაზედ სხვა-და-სხვა ცოდნა და საგნები, არამედ ხეირიანათ ვერც კი ელაპარაკოს ქართველ შაგირდებს, სულ უბრალო საგნებზედაც ვერ გამართოს იმასთან საუბარი!

ᲠᲐᲓ გამიკვირდება, რომ, ამისთანა მასწავლებლების წყალობით, ჩვენს სოფლის შკოლებში სწავლის საქმე რიგიანად ვერ მიდიოდეს, რომ, ამის მიზეზით, თვით სოფელსაც, თვით გლეხ-კაცობასაც, რომელიც ხედავს, რომ იმათი შვილები ვერაფერს სწავლობენ, აუცრუედეთ გული თავიანთ შკოლაზე და ხალისიანად არ იხდიდნენ შკოლის ფულს!

თუ კი ბორის სამასწავლებლო ინსტიტუტში ასწავლიან ქართულს, თუ კი ბორის ინსტიტუტში არის სამი პირველი კლასი, რომელთაგან ერთში ქართველ ყმაწვილებს, არათუ ქართულ ენას ასწავლიან, არამედ ქართულად, მეორეში სომხურად უნდა ასწავლონ სომხის ყმაწვილებს და მესამეში თათრებს,—რატომ იგივე წესი არ უნდა იყოს თფილისის ინსტიტუტში, რომელიც იმავე მიზნით და იმავე დანიშნულებით არის გამართული, როგორც ზემოხსენებული ბორის ინსტიტუტი?

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ახალი პოპეჩიტელი, სხვათა შორის, ამ შეუსაბამო გარემოებასაც მიაქცევს ყურადღებას.

ს. ფ.

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ დღეს, 4 იანვარს, მთავარ მმართებლის რჩევაში იქნება სჯა იმ აქციონურ საადგილ-მამულო ბანკის პროექტის თაობაზედ, რომლის დაარსებასაც აპირებენ თფილისში. ამ სამგნის თაობაზედ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მისაღებად, როგორც გვითხრეს, სხვათა შორის რჩევაში მიწვეული არიან: თფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკების თავმჯდომარენი: თ. ილია ჭავჭავაძე და უფ. ბეს. ლოლაბერიძე.

როგორც გვითხრეს, ამ პროექტზე ხელი აქვთ მოწერილი და ბანკის დამაარსებლებად ითვლებიან, სხვათა შორის, თ. ბრ. ოლბერიანი, თ. მინგრელსკი, გრაფი ადლერბერგი და სხვ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ნამდვილი მიზეზი სამხედრო ბიმნაზიის მასწავლებლის უფ. ა. სტანკევიჩის თავის-მოკვლისა, რომელზედაც გუშინდელს ნომერში იყო რამდენიმე სიტყვა, სიყვარული იყოვო. ამ საქმის თაობაზედ, რასაკვირველია, გამოძიება არის დანიშნული.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ შობის მეორე დღეს რუსულ სცენის მოყვარეთა გამართავთ წარმოდგენა ქუთაისის საავაჭო და საქალებო გიმნაზიების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ უფ. დიაჩენკოს კომედია „Блестящая партія“. ანტრაქტებში ქართული და რუსული სიმღერაც ყოფილა.

*** პატივცემულის „ობზორის“ უკანასკნელს ნომერში უფ. ნიკოლაძე, ჩვეულებრივ და თავისებურ ლანძღვის შემდეგ ამბობს, რომ ვითომც ჩვენ „ბერების ორდენების მოსპობა“ გადაგვეთარგნოს ისე, რომ ვითომც ბერებს ორდენებს (ს. ი. ჯვარსა და მენდალს) აღარ მისცემენო.

უმორჩილესად ვთხოვთ უფ. ნიკოლაძეს გვითხრას, დაგვისახელოს: სად, როდის, რომელ „დროების“ ნომერში იყო ამნაირად გადათარგმნილი ზემოხსენებული ფრაზა?

თუ ვერ დაგვისახელა, მაშინ ჩვენ ერთი საბუთი კიდევ მოგვემატება, რომ ცილის-ძწამებელი დაუძახოთ ომას და უპატოთ ენის მატარტარა...

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟის გაზეთს „ფრანსში“ იწერებიან 26 დეკემბერს: „რესპუბლიკელ სენატარებმა გადაწყვიტეს, რომ ნაციონალური კრების რესპუბლიკელ დეპუტატებთან მოილაპარაკონ და შეადგინონ საერთო პროგრამმა, რომელიც სამინისტროს წარუდგინონ მისაღებად. ამბობენ, რომ ახლანდელი სამინისტროს თავსმჯდომარე დიუფორი თანახმაა, რომ პროგრამმაში ჩაერთოს შემდეგი კითხვები: პატიება ყველა იმ პოლიტიკურ დამნაშავეებისა, რომელთაც კომუნის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა, კანონის გამოცემა, რომლის ძალითაც საფრანგეთის ყველა მოქალაქე ვალდებულია, რომ თავის შვილები გაგზავნოს შკოლაში სასწავლებლად, და ამას გარდა მოსპობა იმ კანონისა, რომლითაც საეკლესიერო ხარისხების დარიგება მარტო სახელმწიფოს არა აქვს მინიჭებული. დიუფარი თანახმა არ არის მხოლოთ ერთის მუხლის თაობაზედ: რომ გამოიცეს კანონი, რომლითაც შეიძლებოდეს მოსამართლეების გამოცვლა.

— უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს ვადინგტონს გამოუცხადებია მინისტრების კრებისათვის, რომ საფრანგეთსა და თურნისის ბეის შორის ატეხილი უკმაყოფილება მშვიდობიანად გათავდაო, ჩვენი ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილა ბეიმაო.

ფელეტონი

ახალი ქვეყნის ამბავი

(სიზმარში და ცხადში ნანახი)

სამაზრო (ოკრუღის) მმართველობა გაუქმდა, განწესდა სანაწილო (უჩასტკის) მმართველობა. ჯერ აქნობამდისინ არავითარი მმართებელისათვის კანონის სახელმძღვანილო არ მოსულა. ჩვენი რუსული „ზაკონი“ თათრულს „შარიათთან“ დაძმობილდა და იოლად მიჰყავთ საქმე.

ძველის სახელმძღვანილოს ძალით, მოცემულის ომის დროს, ზოგიერთი საშინაურო საქმეები, მაგალითად: ქურდობა, უბრალო ჩხუბი, ასაღებ-მისაცემის საქმეები, მრუშობის და საცოლ-ქმრობის უკმაყოფილება—უნდა გადაიცეს „ყადი-მეჯლისის“ კეთილ-მხედველობაში. ყადი-მეჯლისი შესდგება ადგილობრივ მცხოვრებთაგან და თავ-მჯდომარეთა გახლავს დიდი ყადი.

ყოველა ამ საქმეებს ამათ უნდა თავიანთი შარიათის ძალით განაჩენი მისცენ. ხელმძღვანელად უნდა ჰქონდესთ ყორანი.

ამ დღეებში ჩამოიყვანეს ერთი ქმრიანი დედა-კაცი თათრისა და ერთი ახალგაზდა ვაჟი. ამათ ორივეს ედებოდა ბრალი ერთმანერთში მრუშობისა. სინიდისით ორივემ აიღეს თავზე თავიანთი შეცოდება; მეტადრე ქალმა გულ-წრფელად იტვირთა ბრალი. ვაჟი დატუსაღდა; ქალი მიეცა მგონია ყადის მზრუნველობის ქვეშა...

ყორანის ძალით ესენი სასტიკი სატანჯველის ღირსნი არიან: უნდა გაითხაროს ორი ორმო ნახევარ კაცის სიღრმე; უნდა დააყენონ შემცოდაები—ერთი ერთ ორმოში, მეორე მეორეში და ხალხმა უნდა ჩააქოლოს ისინი... ღმერთო, დაგვიხსენ ამისთანა სასტიკი სატანჯველისაგან!...

შარიათის უფროსად, მგონია ღროებით, განწესდა უ. თ.—ბეგი. ეს გარემოება აქაურ სომხებს არ იამათ, თათრებს, რასაკვირველია, გაეხარდათ. ამ გარემოებამ აქაური ერთი თათრის ქალი ისე შეაგულიანა, რომ იმან ერთი სომხის ქალი თითქმის სასიკვდილოთ სცემა.

ახლა დიდი ომია თათრის და სომხის ქალების შორის. თათრის ქალები ამბობენ: „ნაჩანნიკათ თ.—ბეგი არისო!“ სომხის ქალები ამბობენ: „არა, ნაჩანნიკათ აკოფ-აღა არისო!“ (აკოფ-აღა პისმოეოდიტელი გახლავს). ეს ამბავი რით დაბოლოვდება, არ ვიცი, რადგან აქაური პოლიტიკური საქმეები დიპლომატიური ბინდით არის დაღრუბლული...

თათრებს წელიწადში ორი ბაირამი აქვთ: რამაზან-ბაირამი და ურბან-ბაირამი. 19 ნოემბერს იდღესასწაულეს ურბან-ბაირამი.

ეს ბაირამი ადგილის დაგვარ მხიარულად გაატარეს და აღასრულეს დიდის ბეჯითობით ყოველი მიღებული ხალხში წესები. ცერემონია მით დაიწყო, რომ დილაზე ადრე შეიკრიფნენ მეჩითში სალოცავად. ამ საერთო ვედრებაში ქალები არ იღებენ მონაწილეობას. სანამ ისინი ლოცულობდნენ, შენ, მკითხველო, ყური დამიგდე, გითხრა, თუ რა ყოფილა მიზეზი, რომ თათრის ქალები იმათი ქითაბის ძალით არ ეჩვენებიან მამაკაცებსა.

ქითაბის ძალით თათრის ქალებმა არ უნდა ეჩვენონ ნებიერად მამაკაცებსა, მომეტებულად უცხოებს. თუ თათრის ქალმა ნებიერად სახე აჩვენა მამაკაცს, ის იქმნება სასტიკი რისხვის ღირსი დიდი მაჰმადისა და თავ-დაღმა ჩაგორდება ჯოჯოხეთის უფსკრულში; საუკუნოდ მოკლებული იქმნება მაჰმადის სუფევის ყველა სიამოვნებასა.

მაჰმადის ქვეყანაზე მოსვლამდის ასე არ ყოფილა, რასაკვირველია. მაჰმადსა ჰყოლია მრავალი ცოლები. მათ შორის ერთი ყოფილა უფრო ღვთის-სათნო, სახელად—იზზა—ნური. ღმერთს იმასთან რაღაც საქმისათვის სალაპარაკოდ ანგელოზი გამოუგზავნია. ნური-იზზას იმის

*) „დროება“, № 2.

ოსმალეთი

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ მოლაპარაკება რუსეთს და ოსმალეთს შუა საბოლოო მორიგების თაობაზედ ისე კარგათ მიდისო, რომ ახლა სრულიად ეჭვი აღარ არის იმაზედაო რომ ამ ორ სახელმწიფოს შუა არაკითარი განხეთქილება არ მოხდება ხელ-ახლათაო.

ამბობენ, რომ ეს მორიგების პირობა ამ იანვრის შუა რიცხვებამდინ შეკრული იქნება და შემდეგ გამოვა განკარგულება რუსეთის ჯარების ბოლგარიიდამ რუსეთში დაბრუნებაზედაო.

რუსეთი

ტელეგგრამმამ გვაცნობა ამას წინათ, რომ ასტრახნის გუბერნიის ენოტაევის უეზდში გაჩენილა შავი ჭირი (ქამი). „მოსკოვის უწყებაში“ იწერებიან ახლა, რომ ამ საგნის თაობაზე შინაგან სამინისტროში ყოფილა კრება მედიცინის რჩევისა და სხვათა შორის ამ რჩევას გარდაუწყეტია, რომ სასტიკი კარანტინი გააწესოს იმ ადგილებში, საცა ქამი არის და გაგზავნოს იქ რამდენიმე ახალი დოქტორები.

ამბობენ, რომ ეს ჭირი დუნაიდამ მოსულ ჯარს გაუჩენია; ღღეში თითო სოფელში 20-30 კაცი იხოცებოდაო; ახლა კი ცოტათი შემცირდა ეს საშინელი ავათმყოფობაო.

წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში, 263 ნომერში შემხვდა სხვათა შორის ცნობა

მაგიერად, რომ მიიღოს ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზი და დაელაპარაკოს, კარების შვიდამ იმისათვის თმა უჩენენია ნიშნად იმისა, რომ ქალი ვარ, ვერ დაგენახები და ლაპარაკიც შენთან არ შემიძლიაო!

მოვიდა ანგელოზი მეორე, მესამეჯერაც. მაშინ ნური-იზზამ ეს ამბავი განუზიარა მაჰმედს. დიდმა წინასწარმეტყველმა უთხრა თავის ცოლს: რადგან იგი ღვთისაგან გამოგზავნილია, უნდა მიიღო. ამის გამგონმა იზზამ დაიფარა სახეზე ჩადრი და ანგელოზი მიიღო და დაელაპარაკა მას...

მას შემდეგ კანონით აქვთ მიღებული: რადგან ნური—იზზა ნათლით მოსილს ანგელოზს არ ეჩვენა, მიწიერმა ქალებმა სულაც არ უნდა ეჩვენოსო.—„ვინც ეჩვენოს ნებიერად, განდევნილი იყოს“.

ლოცვა გათავდა. ყველანი გამოვიდნენ და რაღაცა აირ-დაირიენენ, ერთმანერთს ულოცავდნენ ბაირამს. ყველამ დაჭერა შინ თითო ცხვარი, ან ბატკანი მსხვერპლად.

„ეზიტეს“ სამი ღღე. პირველი ღღე დანიშნულია კაცებისათვის. მუსულმანის აუცილებელი ვალია, რომ ერთმანერთს შეხვდეს, უნდა ეამბოროონ, მაგრამ ჩვენსავით პროშტი არ იციან: ისინი ეხვევიან ერთმანერთს ისე, რომ გული გულს

ქართულის ენის სწავლაზედ და მეცადინეობაზედ ჩვენის ქართველის ქალებისა, რომელნიც სწავლობენ კავკაზიის ქალების ინსტიტუტში და წმ. ნინოს სასწავლებელში.

შენდა მოგახსენოო, ძალიან მესიამოვნა ესეთი თქვენი მზრუნველობა და ყურადღება სამშობლო ენის წარმატებაზედ ამ გვარ სასწავლებლებში, სადაცა იზრდებიან მრავალნი მომავალნი დედანი ქართველებისა, რომელთაგანაც მოველით გავრცელებას ყოველის კეთილისა, როგორც გონებისა, ეგრეთვე ზნეობისა.

სხვებისა რა მოგახსენოთ, თუ როგორ შეხედეს ამ თქვენ შენიშვნას, მაგრამ მე კი ძალიან ყურები მაცქვეტინა, ამისთვის რომ წმ. ნინოს სასწავლებელში იზრდება ჩემი ქალი.

ყოველი წარმატება, სიკეთე და ნაკლულევანება სასწავლებლისა ადვილად დაემჩნევა მოსწავლეზედ, მომეტებულად ესეთი დიდი ნაკლულევანება უფრო ძალიან გამოჩნდება, რომელზედაც ლაპარაკობთ თქვენ შენიშვნაში.

იმავე ღღეს, 23-ს რიცხვშივე დეკემბრის თვისა, მომავალი ღღესასწაულების გამო, დაითხოვეს ჩემი ქალი და მე შინ წამოვიყვანე, სადაც შემეძლო გამეგო მისგან ყველა გარემოება ქართულის ენის სწავლისა. თვითონ გამოვსცადე ეს ქართულ კითხვაში და წერაში, რომლის შემდგომ შევიტანე ეჭვი თქვენ შენიშვნაზედ შესახებ ამ საგნისა. თქვენთვის წმ. ნინოს სასწავლებელზედ და იმ გვარს ნაკლულევანებაზედ შეუტყობინებიათ სიცრუით.

რასაკვირველია, ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ სწავლა ქართულის ენისა ძალების ინსტიტუტში ჩემთვის საიდუმლოა. ჩემი ბავშვის ნაამბობის გამო, რომელსაც ერთი-ორათ წარუმატებია თავისი ცოდნა ქართულს ენაზედ და ლაპარაკშიაც ამავე ენაზედ, თანასწორ მისი სხნისა, ვერ დავაყვედრებ, და ეგრეთვე სხვა პატიოსნების პირების სიტყვების გამო მოგახსენებთ, რომ წმ. ნინოს სასწავლებელში ქართული ენა ბეჯითად მიდის.

თფილისის ძალების ბიმნაზია ამ შემთხვევაში ვერ შეედრება ამას. ეს საკვირველიც არ არის: აქ სულ სხვა დაწყობილებაა და სხვა ყურადღებაა ქალებზედ: ყოველთვის ბევრნი იმათნი ზედამხედავნი ეუბნებიან და აგონებენ, რომ ყველა საგანი—გინდ ქართული, გინდ რუსული ერთი ღირსებისანი არიან, ამისთვის ერთნაირად უნდა ისწავლოთო. ბარდა ამისა მასწავლებელი წმ. ნინოს სასწავლებელში არის ისრეთი პირი, რომელიც თვითონ აღზრდილა თავ-და-პირველ ქართულ წიგნებში; როდესაც სასწავლებელს ამთავრებდა, მაშინვე ასწავლიდა ქართულ ენა რამტელიმე ხანი მეხუთე კლასში სემინარიისა და შემდგომ სწავლის შემთავრებისა ასწავლიდა ამავე ენას ოთხს კლასში თფილისის სასულიერო სასწავლებელში ბევრი ხანი და ეგრეთვე სხვა ადგილებშიაც. მაშასადამე მასწავლებელი თავის საქმეს რიგიანათ წაიყვანს და კიდეც მიჰყავს.

დაბალ კლასებში წმ. ნინოს სასწავლებლისა, რომლებშიაც დიდი ხანი არ არის, რაც სწავლობენ ბოვშვები, ქართულს აეარჯიშებს და მართავს ქალებს

ეკვრება თქმითი:

„—ბაირამნ მუბერეგ ოლსუნ!“

ჩვენც ვიბაირამეთ: სამ-ოთხ კაცს პატივი ვეცით და მიველით მოსალოცად. თავდა-პირველად მიველით ყადთან. შეველით თუ არა, ყადიმ, მჯდომარემ ყველაზე მაღლა ბალიშებზე, ღიმილით მიგვიღო. წამოდგა თავისი სტუმრებით ფეხზე...

ჩვენ ყველას ხელი ჩამოვართვით, მაგრამ წრეს გარეთ გადაველით: ხელის ჩამოართმევა არ უნდოდა. შესვლისავე, ყველასთან თამალით უნდა მისულვიყავით, ე. ი. ხელ გაჭიმულის მკლავით სასწრაფოთ ძირს უნდა ჩამოგველო, მემრე გულზე, პირზე და შუბლზე უნდა მიგვედო და მერე ფეხ მოკეცალები უნდა ლეიბებზე დამსხდარვიყავით,—მაშინ ვიქმნებოდით ნამდვილი აღმასრულებელი ამათ წესისა.

დავსხედით. ჩვენთან ერთი რუსიც იყოს რო დავსხედით, თითო თამალაც მაშინ დარიგდა, დაიწყეს მესაიფი. „ჩიბუხჩმა“ შემოიტანა ჩაის სტაქნებით შარბათი. ჩიბუხჩი უნდა იყოს ახალგაზდა და თვალად ჩინიანი ყმაწვილი. იმისი ვალია: ჩიბუხის აესება და ყავის კეთება. იმას სხვა მძიმე თანამდებობაც აქვს...

მემრე დარიდებით და დაწიდებით შემოიტანეს ყავა პატარა ფინჯნებით, უშაქრო. ჩვენმა რუსმა ბევრი იგრიხა: ყავა უშაქრო არ იამა, მაგრამ ჩვენ შურიანობას ვერ გადურჩა—ჩვენ ვსვამდით და მაგას არ უნდა დაელია?.

წასვლისას ყველანი წამოდგნენ ფეხზე, თითო თამალაც მაშინ დარიგდა და გამოვედით. სახლის პატრონი იდგა კარებთან და ხელს გვართმევდა თქმით: „თაქაშურ ედერიმ!“ (დიდს მადლობას მოგახსენებ).

ცერემონია თითქმის ყველგან ერთი იყო, მხოლოდ მაზა და სასმისები ზოგან იცვლებოდა. ზოგან შარბათის მაგიერად გვაძლევდნენ ხელში ყველას მეოთხედ-მეოთხედ გირვანქა შაქარს, ზოგან შარბათი კონიაკათ იქცეოდა და შაქარი სხვა მაზად; ბევრგანაც შუადღე გადაველილი იყო, მაგრამ პატარა ფინჯნებით უშაქრო ჩაი მოგვართვეს.

მეორე და მესამე ღღეს თათრის ქალები ვიზიტობდნენ. შესაქცევარ სანახავს წარმოადგენდა როგორ ისინი დამფთხალი თხებივით, ჩადრებში გახვეულები, შერბოდნენ ერთი სახლიდგან მეორე სახლში და ხმაროობდნენ ყველა ძალას, იმათზე დამოკიდებულს, რომ არ ეჩვენონ მამაკაცებსა...

ს. ბაერელი

Ардануджи, 24 Декемберь.

(Дасасръулы шемдег №-ши)

კითხვაში და წერაში, აზეპირებინებს საყმაწვილო ლექსებს და ზოგიერთს ლოცვებს. სახელთმძღვანელოდ ამისთვის აქვსთ იმათ „Ведра ена“ უ. ბოგებაშვილისა. საკვირველად თურმე ეს მასწავლებელი ცდილობს, რომ ყმაწვილებს წერაში ხელი დაუმტკიცდეთ და ამისთვის იმათ ყოველთვის რგვალ ხელს აწერინებს კლასში.

უფროს კლასებში ქალებს აკითხებს წიგნებს: „Двѣ сиротки“, „Игав-арабъ“, „Лѣсная крепость“; ასწავლის ზოგჯერ ზეპირად ლექსებს „ბუნების ძარიდგან“, თვითონაც კითხულობს იმათთან ქართულს მრისტომატიას, „ჩონგურს“, შესანიშნავ ლექსებს გაზეთის „დროებიდგან“ და სხვა წიგნებიდგან, უხსნის გრამატიკულ კანონებს. ბარდა ამისა რიგიან შესათვისებლად ენისა აწერინებს ქალებს სხვა და სხვა ლექსების პერიფრაზებს. ამ მასწავლებელის სიყვარული თავის ენისა სჩანს იქიდგან კიდევ, რომ ხშირათ არამც თუ მხოლოდ კლასში, ქართული ენის გაკვეთილის დროს, არამედ გარეთ სხვა დროსაც ელაპარაკება ქართულად.

მაშასადამე ნაკლულევანება და წარუმართებლობა ქალებისა ამისაგან არ იქმნება. ბაკვეთილები კვირაში ოთხი არის, თუმცა ეს ენა ბიმნაზიაში ქალებს უმფროს კლასებში არც კი აქვსთ. ამ ოთხი ურროკით წმ. ნინოს სასწავლებელში ქართულს ენას როგორც შეეფერება ცდილობენ მასწავლებელიც და მოსწავლენიც.

მართალია, რომ ძალიან კარგათ არ მიდის აქ ეს ენა, მაგრამ თქვენ თვითონ მიბრძანეთ —რომელ თფილისის სასწავლებელში მიდის ქართული ენის სწავლა ძალიან კარგათ?

მიზეზი ამის არის არა მხოლოდ სიცოტავე გაკვეთილებისა, არამედ სხვა მრავალიც. ერთი ამათგანი ის არის, რომ თვითონ ბევრი მშობლები თავიანთ შვილებს თავ-და-პირველ სახლში, როდესაც კი ჩაიდებენ გულში სასწავლებელში ქისლენ შვილი, მომეტებულათ ასწავლიან რუსულს, ფრანციცულს და სხვ., აურევენ დომხალიევით ყველაფერს ერთათ და ყმაწვილებიც, გამოშტერებულები, ვეღარც მამის სულს იჭერენ და ვეღარც პაპისას..

შემდგომ მშობლების სახლისა სასწავლებელში ყმაწვილები დატვირთულები არიან ხოლმე მრავალ გვარი საგნებით, რასაკვირველია, არა ქართულს ენაზედ. აქედგან იფიქრეთ რაღა ქართულისა სცხელათ ჩვენ ყაწვილებს!.

მაგრამ სულ-ყველა-ყველა-და ქართულს სწავლობენ კი წმ. ნინოს სასწავლებელში როგორც შეუძლიანთ, იმისათვის რომ ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ იმ სასწავლებლის წევრნი.

ერთი მშობელთაგანი მოსწავლეთა წმ. ნინოს სასწავლებელში ეგნატე ელიავა.

თფილისი, 24 დეკემბერს.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილ. ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისაბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ამ ქრისტეშობისთვის 29-ს, გამგეობის თან-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) იჯარით მიცემაზედ იმ შემოსავლისა, რომელიც ქალაქის პირუტყვის საკლავიდამ აქვს ქალაქს.

ვისაც ამ იჯარის პირობათა დაწვრილებით შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—3)

ბამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია ბრიკურროვის ქაკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები
თქმული
ბიოლრბი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,
მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეი-

ისყიდება სახლი ორი ოთახით და ეზოთი, რომელიც შეიცავს 71 ოთხკუთხ საჟენს, სოლოლაკში, პირველი ოტდელის მეორე უჩასტკაში № 98.

მსურველს შეუძლიან მიმართოს პატრონს ბლ. ჩიქოვანს. ალექსანდრე-ნევსკის ეკკლესიის ზევით ქუჩაზე, ქერესელიძის სახლების გვერდით, ელიოზოვის სახლში, № 21.

ისყიდება უ. ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში

„ჰაერბლსტატი“

ქამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯორჯაძისა

რკ. გზა.	ბილ.		სადგ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3		1	69
ყვ. ირილა .	1	18	ლმე.		3	96	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოდი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნია	4
დ.ბ ჭდილის (ხ.მი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 4 ივნვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	75
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	11	—
მატყლი თუშური ფუთი.	7	30
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	30
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	13	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბრიც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვლი, გრვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ხაშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღბენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ბეუჩარიანეცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Генваря 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.